რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

რედაქციისაგან

ახალი ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

1-ლ მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „ცნობის ფურცელი“ ახალ ხელის-მომწერთათვის ღირს **5 მან.** და მასთან „საქართველოს კალენდარიც“ მუქთადგაეგზავნებათ.

იანვრის ნომრები 73-იდან 87-მდე რედაქციაში აღარ მოიპოვება.

1-го марта вышла 3-я (мартовская) книга журнала:

ГОДЪ XVI. **„НАБЛЮДАТЕЛЬ“** ГОДЪ XVI.

СОДЕРЖАНІЕ: 1) Смѣна поколеній. Романъ А. Михайлова (А. К. Шеллера). 2) Изъ дневника. Стихотвореніе А. В. Круглова. 3) О направленіи современной финансовой политики по отношенію къ ипотечному кредиту. С. Минутко. 4) На встрѣчу бѣдности. Стихотвореніе А. Меснера. 5) Радости жизни. Комедія В. А. Крылова. 6) Церковная смута въ прибалтійскомъ краѣ. А. А. Башмакова. 7) Чужія палестины. (Изъ заграничныхъ странствованій). Вас. И. Немировича—Данченко. 8) На западной окраинѣ Барабы. В. Сибиряка. 9) Новый путь. Стихотвореніе Л. Афанасьева. 10) Отравленная совѣсть. Романъ А. В. Амфитеатрова. 11) Память весны. К. Иванова. 12) Граф. Дмитрій Алексѣевичъ Милютинъ (съ портретомъ). Н. Г. Николаева. 13) Созвѣздія. К. Бальмонта. 15) По горамъ Кавказа. (Очерки русскаго туриста). Кавказца. 16) Въ дни покаянія. Стихотвореніе П. Петровскаго. 17) Разбитыя сердца. Романъ Андрэ Терье. 18) Политическая хроника. (Турецкій кризисъ и европейская дипломатія.—Новое возстаніе на островѣ Критѣ.—Зачинщики возстанія.—Вооруженное вмѣшательство Греціи.—Посылка европейскихъ эскадръ и пр.) 19) Новыя книги. 20) Наши внутренніи дѣла. (Производство первой всенародной переписи 28-го января 1897 года.—Необходимость собрать матеріалъ, рисующій ходъ переписи.—Въ чемъ заключается по учительная сторона студенческихъ безпорядковъ въ московскомъ университетѣ? и пр.). 21) Фонографъ. (Фельетонъ Наблюдателя): 1) И смѣхъ, и горе. Литературныя и общественныя замѣтки. („Союзъ взаимопомощи русскихъ литераторовъ“, обратившійся въ арену личной полемики.—Заботы и „единеніи“ на профессіональной почвѣ.—Возможно ли такое единеніе?—Поучительная книга А. С. Шмакова и пр.). Ефима простосердова. 2) Стихотворенія: Хмураго Барда и Стараго Капрала,

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 Г.

Журналъ выходитъ ежемѣсячно, 1-го числа, безъ предварительной цензуры, книгами отъ 25—30 печатныхъ листовъ, съ иллюстраціями.

Годовая цѣна „НАБЛЮДАТЕЛЯ“: съ доставкою въ Петербургѣ и пересылкою иногороднымъ 12 р.; за границу 14 р. За **полгода**: 6 р. съ дост. и пер. въ Россіи; за гран. 7 р. За **три мѣсяца** 3 руб. съ перес. въ Россіи; за границу 4 руб. Гг. служащимъ разсрочка (мѣсячная и по третямъ) за поручительствомъ казначеевъ. Книгопродовцамъ уступка: 50 коп. съ годоваго экз. журнала и газеты.

При совмѣстной подпискѣ на **„НАБЛЮДАТЕЛЬ“** и **„ГЛАСНОСТЬ“** годовая цѣна: съ дост. 20 р., съ перес. иногор. 22 р.; за гран.—32 р. За полгода: съ дост. 12 р., съ перес. 13 р., за гран. 17 р. За три мѣсяца: съ дост. 7 р. съ перес. 8 р.; за гран. 10 р. Книгопродовцамъ, за совмѣстную годовую подписку на журналъ и газету, уступка—1 руб.; за полугодовую—50 коп.

Главная контора журнала и газеты: *Спб., Пушкинская ул., № 8.*
Редакторъ-издатель А. П. Пятковскій. (3—2)

Изданія Владимира Бонгъ Друевича
Продаются во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Москвы, Петербурга и другихъ большихъ городовъ:

1. **Карль Марксъ.** *Критика нѣкосорыхъ положеній политической экономій.* Переводъ П. Румянцева подъ редакціей А. Мануилова, изд. 2-ое, цѣна, безъ пересылки, **1 руб.**
2. **Людвигъ Гумпловичъ.** *Соціологія и Политика*, переводъ С. Прокоповича, цѣна, безъ перес., **50 коп.**
3. **Павелъ Кампфмейеръ.** *Изъ нѣмецкой деревни* (экономическій очеркъ) перев. М. Толмачевой, цѣна, безъ перес. **15 коп.**

(6—1)

თავ. დიმიტრი მაჩუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-დასხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
✦ ფასი მასალებისა მეტად იაფია ✦
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში. მსურველთ შეუძლიათ ქარხანას მიმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჩუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, або Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—47)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი).
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. შუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:
ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. შუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ზ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

ექიმი
ე. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7-მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია. (წ.)

სამკერვალო სკოლა
ქალთა ამხანაგობისა
მიიღებს შესაკერად კაბებს, წამოსასხამებს და სხვა მორთულობის შეკვეთას.
ვერა, გაბაევის ვიწრო ქუჩა № 3. (4—4)

გამოვიდა და ისყიდება
ზოლ კრაის 3 მოქმედებიანი დრამა
ბრძოლაში
თარგმანი ივ. მაჩაბელის მიერ
ფასი ექვსი შაური. (10—1)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“)
10 მარტი.

პეტერბურგი. „მმართებლობის მოამბე“-ში დაბეჭდილია: იმ დიდთა სახელმწიფოთა შორის შემდგარ მორიგებისამებრ, რომელთა გემებიც კრიტის წყლებში იმყოფება, დილის 8 საათზედ შეერთებულ ესკადრონთა ადმირალების მიერ ალყა შემოერტყა კრიტის კუნძულს. ალყაში მოქცეულია ყველა ის გემებიც, რომლებზედაც საბერძნეთის დროშა ფრიალებს. ექვსის დიდის სახელმწიფოს და აგრეთვე განცალკევებით მყოფ სახელმწიფოთა გემებს ნება აქვთ დართული დიდთა სახელმწიფოთა მიერ დაჭერილ ნავთ-სადგურში შესვლისა და ტვირთის გადმოღებისა გემებიდგან, თუ ეს ტვირთი საბერძნეთის ჯარისა, ანუ იმ ადგილების მკვიდრთათვის არ არის მოტანილი, რომლებიც კუნძულის შუაში იმყოფება.

10 მარტს, ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზედ, ხელმწიფე იმპერატორმა, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულმა, დიდმა მთავრინამ მარიამ პავლეს ასულმა, დიდმა მთავრებმა ალექსანდრე ალექსანდრეს ძემ და კირილლე ვლადიმერის ძემ ჰნახეს გრაფ სტროგანოვის სახლში გამართული ძველის-ძველი სამხატვრო ნივთები და სურათები, რომლებიც უმაღლესს გვამთა და კერძო კაცთ ეკუთვნიან.

კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

ადმინისტრაცია. დანიშნულ იქმნა: სამსახურიდამ გადამდგარი კანცელარიის მოხელე გიორგი ტყავაძე—სიღნაღის მაზრის სამმართველოს რეგისტრატორად (იგივე არხივარიუსი).

ახალი ამბავი

† თავადი ნ. ზ. ჭავჭავაძე. აწ განსვენებული თ. ნიკ. ჭავჭავაძე დაიბადა 1830 წელს, კახეთის სოფელ ყვარელში. სწავლა-განათლება მიიღო ტფილისის გიმნაზიაში. ჯერ ისევ 16 წლის ყმა იყო თ-დი ნიკოლოზი, რომ ქართველთა მილიციაში ჩაეწერა, რომელიც მაშინ კახეთის დასაფარავად იყო შემდგარი. განსაცდელის დღე ადგა მაშინ კახეთს. მთელს მხარეს ის-ღა ჰქონდა საზრუნავი, როგორ დავიცვათ ჩვენი ქონება, ჩვენი ცოლი და შვილი თავ-აშვებულ ლეკებისაგანო. დიდი ჯაფა ადგა მაშინ მილიციასაცა. ამ მილიციის თვალად ითვლებოდა განსვენებული თ. ნ. ჭავჭავაძე, რომელიც სოცარს მხნეობას იჩენდა თავისის ქვეყნის დაცვაში. მისი უფროსები განცვიფრებულნი იყვნენ მისის უშიშრობითა და თავგამოდებითა. ამ დროს მიიღო თ. ნიკოლოზმა ზედი-ზედ პრაპორშჩიკობა, პოდპორუჩიკობა და პორუჩიკობა.

1853 წელს დაიწყო რუს-ოსმალოს ომი. ამ ომში სამ ალაგას დასჯრეს და დიდად თავი ისახელა ჩვენმა უშიშარმა გმირმა. ოსმალოს ომის შემდეგ თ. ნ. ჭავჭავაძე მონაწილეობას იღებდა აღმოსავლეთ-კავკასიის დაპყრობაში. მაშინ მიიღო ორდენი წმ. ვლადიმირისა. 4 ხარისხისა, ხრმლითა და ლენტით.

ამის შემდეგ იწყობა თ. ნ. ჭავჭავაძის ადმინისტრატიული მოღვაწეობა. 1859 წელს დანიშნეს დარგის ოლქის მმართველად; ხოლო 1865 წელს პოლკოვნიკობა ებოძა და დაინიშნა შუა დაღესტნის სამხედრო უფროსად. ომებით გაჩანაგებულმა ხალხმა, თ. ნ. ჭავჭავაძის მეცადინეობით, სული მოითქვა, თავისს შინაურს ყოფას ყურადღება მიაქცია და ადამიანური ცხოვრება დაიწყო.

1863 წელს თ. ნ. ჭავჭავაძე იძულებულია მშვიდობიანს ცხოვრებას თავი დაანებოს და კვლავ ბრძოლის ველზე გაჩნდეს. იმ წელიწადს ამშვიდებს ზაქათალის ოლქის აჯანყებულ ლეკთა, ხოლო 1871 წელს ამშვიდებს აჯანყებულს უნკრატლებსა.

1876 წ. თ. ნ. ჭავჭავაძე დაღესტნიდან განჯის სამხედრო გუბერნატორად გაიწვიეს. ისევ 1877 წ. რუს-ოსმალოს ომმაც მოუსწრო. ამ ომშიაც იღებდა მონაწილეობას ჩვენი სახელოვანი მეომარი, მაგრამ

ერთის თვის უკან დაბრუნდა, რადგან მთელი დაღესტანი და ერთი ნაწილი განჯის გუბერნიისა აჯანყდა, და მათ დამშვიდებას ისევ თ. ნ. ჭავჭავაძე თუ მოახერხებდა,—აჯანყებულთა ალაგმვაში. თ. ნ. ჭავჭავაძემ ჩვეულებრივი ფხა და უნარი გამოიჩინა მეომრისა, რისთვისაც ოქროს ხმალი ებოძა, თვალ მარგალიტებით მოოჭვილი.

1880 წ. დაინიშნა დაღესტნის ოლქის უფროსად. ხოლო როცა კავკასიაში მართვა-გამგეობის სახელები შესცვალეს, თ. ნ. ჭავჭავაძის თანამდებობას სამხედრო გუბერნატორის სახელი უწოდეს.

უკანასკნელად დააჯილდოვეს წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენითა და ებოძა კავალერიის ღენერლობა.

განსვენებული საოცარი პირადმთქმელი და უშიშარი კაცი იყო, განსაკუთრებით იქ, სადაც ხედავდა, რომ სიმართლე, რომელსაც მე ვემსახურება, უსაფუძვლოდ იჩაგრებაო. დიდად მოყვარული იყო თავისის ქვეყნისა და ერისა, რასაც მისი უხვი ანდერძიც ამტკიცებს. საქველმოქმედოდ განსვენებულს დაუტოვებია 25,000 მანათი. ამ ფულიდან 20,000 მანათი მოხმარდება ორს ქართულს სტიპენდიანტს. ორივე სტიპენდიანტი უნდა გაიზარდოს უმაღლეს სასწავლებელში, ერთი სამთა-მადნო ინსტიტუტსა და მეორე უნივერსიტეტში. ასე, რომ ყოველ ხუთ წელიწადში, თ. ნ. ჭავჭავაძის უხვის შეწირულების წყალობით, ჩვენს ქვეყანას მოემატება ორი ახალგაზრდა კაცი, უმაღლესის სწავლით აღჭურვილი. 5,000 მანათი უანდერძებია სოფ. ყვარელის გლეხთათვის. ამ ფულით აღიზრდებიან ამ სოფლის შვილები ან სამეურნეო სასწავლებელში, და ან სასულიერო სემინარიაში.

დიდად კი, რომ სასახელო შვილი დაგვაკლდა, გარნა იმ იმედით ვნუგეშობთ, რომ განსვენებულის თ. ნ. ჭავჭავაძის ცხოვრება მაგალითი იქმნება, სახელმძღვანელო სხვა ჩვენს თანამემამულეთათვის და მისი ხსოვნა ჩვენს გულში წაუშლელი და მარად მოსაგონებელი დარჩება.

საუკუნოდ იყავნ ხსენება შენი, საუკეთესო მამულიშვილო და გულწრფელო მოღვაწევ!

⁂ **თავ. გოლიცინის დახვედრა.** 3 მარტს, საბჭომ გარდასწყვიტა მიანდოს ქალაქის თავის მოადგილეს მოწოდება ასისტენტებისა, რომლებთან ერთად იგი უნდა დაუხვდეს ახალს მთავარ-მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს, როდესაც იგი მობრძანდება ტფილისში. ბ-ნმა ივანენკომ 11 ამა მარტს, მოუწოდა ამის გამო ხმოსანს მ. ს. შახპარონიანცს და გ. მ. კოლუბანსკის.

⁂ **ქალაქის ამომრჩეველთა სიების გამო.** ჩვენ შევიტყეთ, რომ ქალაქის თავის მოადგილემ ბ-ნმა ივანენკომ 11 ამა მარტს, წარუდგინა ბ-ნს გუბერნატორს ამომრჩეველთა სიები, რომელიც გამგეობამ საყოველთაოდ გამოაცხადა 18 თებერვალს. გარდა ამისა, შეადგინა ახალი სიები იმ პირთა, რომელთაც შეიტანეს ქალაქის კასსაში დარჩენილი ვალი დაფასებისა მარტის ხუთამდე. ხსენებული სიები შეასწორა გამგეობამ თანახმად შენიშვნებისა, რომელნიც გამოაცხადეს სახლის პატრონებმა და რომლის ძალითაც ზოგმა მათგანმა დაამტკიცა თავისნი უფლებანი უძრავ ქონების შესახებ. დაბეჭდილი სიებიდამ გამორიცხულ იქმნენ ზოგიერთნი, ვინც შეცდომით იყვნენ შეტანილნი მათში. ამისთანა შემთხვევა იყო ოთხამდე. ბოლოს, ბ-ნი ივანენკო სწერს, რომ, რადგან სენატის უქაზისა გამო, უფლება აქვთ ამომრჩეველისა ყველას, ვინც გარდიხდის დარჩენილ ვალს სიების უკანასკნელ გამოცხადებამდეო, ამის გამო, კვლავ წარმოვადგენ დამატებითს სიებს ამათს, ვინც 18 აპრილამდე გასწმენდავს დარჩენილ გარდასახადს მთელის წარსულის წლისასაო.

⁂ **შავი ჭირის საწინააღმდეგოდ.** 11 მარტს კრება იყო საგუბერნიო სამმართველოში მასზედ, თუ რა ღონის ძიებანი უნდა იქმნას მიღებული გუბერნიაში წინააღმდეგ ჭირის შემოსევისა ჩვენს ქვეყანაში. ამ კრებაზე მიწვეულ იყვნენ, სხვათა შორის, ქალაქის თავის მოადგილე ივანენკო და სასანიტარო ინსპექტორი სტეფანოვი. კრებამ დაადგინა, რომ ადგილობრივსა და რუსულ ენებზე გამოსცეს ბროშიურები, რომლებშიაც ხალხს შეატყობინებენ ჭირის ვითარებას და საშუალებას მასთან ბრძოლისას.

⁂ **ეკკლესიის გაძარცვა გორის მაზრაში.** 6 მარტს სოფ. ცხრამუხის ეკკლესია გაუძარცვავთ ვიღაც ბოროტ-მოქმედთ. გაუზიდნიათ ეკკლესიის სამკაული და ფულად ათი თუმანი. ამ მკრეხელობას აბრალებენ ეკკლესიის დარაჯს.

⁂ **ტუსაღთა რაოდენობა ტფილისის ცენტრალურ საპატიმროში.** მეტეხის ციხესა და ტფილისის ცენტრალურ საპატიმროში 11 მარტამდე 823 ტუსაღი იმყოფება. ამათში 21 ტუსაღი იმისთვის არიან დაპატიმრებულნი, რომ ვალის გადახდა ვერ შესძლებიათ, 3 ადმინისტრატიულია, 9—პოლიტიკური, 1 მოხელე, 23 აზნაური და 13 ქალი. ავად 143 კაცია ტუსაღი.

⁂ **ამერიკულ ვაზების საშენი გორის მაზრაში.** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიაში მინისტრის მოადგილესათვის ნება დაურთავს, სოფ. ალიანში, გორის მაზრაში, ექვს დესეტინა მიწაზე ამერიკულ ვაზების საშენი გამართეთო.

⁂ **დამნაშავის შეპყრობა.** ტფილისის სახელმწიფო თეატრში უბნის ზედამხედველმა ბ-ნმა მაჭავარიანმა შეიპყრო ტფილისის მოქალაქე არშაკ ფირუმოვი, რომელსაც თეატრის ბილეთები უშოვნია და ღირებულზე მეტად ჰყიდდა, თურმე. ამისთანა ამბები სხვა თეატრებშიაც ხდება ხოლმე, და სასურველია ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ უწესოების და ჩარჩების თავ-გასულობის აღმოფხვრას.

⁂ **ცნობები კავკასიაში მეცხვარეობაზე.** საფრანგეთის კონსულს ტფილისში, საფრანგეთის მთავრობის მინდობილობით, ცნობები შეუკრებია კავკასიაში მეცხვარეობა რა ყოფაშიაო. ეს ცნობები იმისათვის არის, თურმე, საჭირო, რომ აქედგან ცხვრები უნდა გაგზავნონ საფრანგეთში.

⁂ **რიცხვი პატიმართა ტფილისის გუბერნიაში 1896 წლის განმავლობაში.** 1896 წლის დასაწყისში იყვნენ დამწყვდეულნი 1,001 კაცი და 17 ქალი. 1896 წელს დაპატიმრებულ იქმნენ 5,182 კაცი და 205 ქალი; გავიდნენ საპატიმროდან 5,030 კაცი და 202 ქალი. 1897 წლისათვის დარჩნენ 1,153 კაცი და 20 ქალი.

⁂ **ქ. ლანჩხუთი. თავის მოწამვლა.** ჩვენში ძალიან გავრცელდა თავის მოწამვლა. 23 თებერვალს ერთ მოვაჭრის შვილმა, 16 წლისამ ო. წ—ძემ მოიწამლა თავი. ამის მიზეზი ის იყო, რომ დედინაცვალი გასწყრომია და სახლიდამ გაუგდია. გათენებისას შეუტყვეს და მაშინვე ქუთაისის სამკურნალოში წაიყვანეს, საიდგანაც მორჩენილი ჩამოიყვანეს.

გუშინ, 8 მარტს, აზ. ვ. ჭ—იას. მეუღლემ მოიწამლა თავი, ამის მიზეზი ის იყო, თურმე, რომ დედამთილსა და რძალს შუა ხშირად უსიამოვნება ხდებოდა.

ამ გახშირებულ თავის მოწამვლას ხელს უწყობს ის, რომ ჩვენს დუქნებში, სადაც უნდა შეხვიდე, იშოვნი თაგვის შაქარს და სხვა ამ ნაირ წამლებს. კარგი იქნებოდა, რომ მთავრობას ყურადღება მიექცია ამ დუქნებისთვის და ამ ნაირი წამლები აფთიაქს გარეთ მოესპო გასასყიდათ.

⁂ **ფრონის ხეობა. სწავლა-განათლება** (ქართლში). ამოდენა ხეობაზედ, რამოდენაც ფრონის ხეობაა, აქნობამდის ერთად-ერთი სკოლაც არ არსებობს, მიუხედავად ამისა, რომ დიდათ საჭიროა აქ სკოლა და ეს საჭიროება მით უფრო ცხოველდება, რაც მეტი დრო და ხანი გადის. მაგრამ ეხლა, როგორც დარწმუნებით გავიგეთ, თ. კონ. ამირეჯიბს, ამ ხალხისათვის კეთილისმყოფელს და მოღვაწეს, რომელსაც რამდენიმე წელიწადია აფთიაქი აქვს საკუთარი და უსასყიდლოდ ურიგებს ხალხს წამლებს, განუძრახავს საკუთარის ხარჯით სკოლის დაარსება ს. ავლევში, რისთვისაც საჭირო ქვით-კირის შენობა უკვე შეუძენია და იმედიცაა, რომ ამ სასიკეთო და სახელო საქმეს ჩქარა სისრულეში მოიყვანს. სკოლას სამეურნეო-საბაღოსნო განყოფილებაც ექმნება, რაც უფრო საჭიროა ჩვენის დაცემულ მეურნეობისათვის, იმედია, რომ თითონ, როგორც ნასწავლი ოგრონომი, კარგს საფუძველზედ დააყენებს სკოლას და ამ გვარად ხელს შეუწყობს ჩვენს საბრალო გლეხკაცის მდგომარეობას.

⁂ **ქ. გორი. მკვლელობა.** ამ თვის 3, ნატბეურსა და ნიჩბისს შუა მოხდა ერთი უცნაური მკვლელობა. აი საქმე რაში მდგომარეობდა. ქ. თბილისის მცხოვრები სუმბათა ხჩატუროვი და ს. ახალქალაქის მცხობი ასლანა მამასახლისოვი ყოფილან ამხანაგები, მექვაბეები, რომელთაც ქვაბები სოფელ-სოფელ დაჰქონდათ და ჰყიდდნენ. სწორედ, ზემო აღნი-

სახალხო ჰიგიენა

ჩამომავლობა

(მანტეგაცციდამ)

უფლება არავისა აქვს, თვისს შემდეგ ჩამომავლობა დასტოვოს, ოდეს გონება, მეცნიერება და გამოცდილება ეუბნება—ამ ჩამომავლობის სიცოცხლე ხან-მოკლე, სვე-უბედური და ტანჯვა-ვაებით აღსავსე იქნებაო.

იმედი და რწმენა უკვდავებისა—გონიერი და წმიდა რამაა ოდეს იგი რწმენა და იგი იმედი კაცის გრძნობათა ამაღლებს, ასპეტაკებს, მისს საქაო არსებობას აკეთილშობილებს; გარნა ვინც ამბობს—ადამიანს არა აქვს თავისუფალი ნება, არა აქვს თავისუფლება აზროვნებისა და თავისუფლება მოქმედებისა, ღვთის საწყენ საქმეს სჩადის და გონებას ფეხ-ქვეშა ჰსთელავს.

ვერა გულისთქმა, ვერა აღტაცებული სიყვარული ჭეშმარიტ გზიდგან ვერ აახვევინებს იმას, ვისაც მოვალეობა რამე აწევს და უნდა თვისი მოვალეობა აღასრულოს. მოვალეობასავით დიდ-მნიშვნელოვანი ადამიანისათვის არა არის-რა! მოვალეობაზე დიდი, მოვალეობაზე მაღალი—ერთად-ერთი ღმერთია, მეტი არავინა.

ყველა კაცი, რა ხნისაც ან რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს, მოვალეა—სულიერს არსებას არა ავნოს რა. ამ აზრს აღიარებენ ყველა დროის ერნი, ყველა ქვეყნის კანონი და ყველა სარწმუნოება.

ვინც სნეულ შვილს აჩენს, უდიდესსა ცოდვას სჩადის,—იმაზე დიდი ცოდვა შეუძლებელი ლაა; ასეთი მამა სდგება იმ არსების ცოდვაში, რომელიც ყველაზედ მეტად უყვარს, რომელიც მისი ხორცი ხორცთაგან და ძვალი ძვალთაგან არის.

როცა ჩვენისავე ბრალით სნეულს შვილს ვაჩენთ, ვსცოდავთ, დანაშაულსა ჩავდივართ, მერე როგორი? გაანჩხლების დროს ადამიანის მოკვლა უფრო გვეპატიება, ვიდრე ეგ ცოდვა, ეგ დანაშაული; ჩვენის ამ გვარის ქცევითა ძალის-ძალათი ვუშხამავთ სიცოცხლეს ჩვენთვის ძვირფასს არსებათ.

თუ კაცი სნეულია და მაინც შვილს აჩენს, ეტყობა, საშინელი თვითმოყვარეა; და ეგ თვითმოყვარეობა მთელ მისს სიცოცხლეში სინიდისის მხილების მსხვერპლადა ჰხდის ხოლმე.

სნეულ შვილის მშობლის-მიერ ჩადენილი ცოდვა პირველს მსხვერპლსა როდი სჯერდება! სნეულება და შხამი მშობლისა ხშირად მეორესა, მესამესა და შემდეგს მოდგმაში გადადის; ჩამომავლობა გადაშენების გზას მკვიდრად ადგება, საშინელს ტანჯვას ეძლევა, მისს წყევლა-კრულვას სამზღვარი არა აქვს; მსხვერპლნი ტანჯვისანი სწყევლიან როგორც საკუთარს სიცოცხლესა,—ისე იმათ ვინც ამ ქვეყნად გაგვაჩინაო.

ვინც სნეულია და მაინცა ჰსურს, შვილები გააჩინოს, ცუდი მამაა, რადგან მისს სისხლსა და ხორცსა—შვილებსა, შხამ-სამსალას ასმევს; ცუდი მოქალაქეა, რადგან ერს ცუდ მოქალაქეთა რიცხვს უმრავლებს; ცუდი კაცია, რადგან ჰსპობს ადამიანის ოჯახის ღირსებასა ბურჯსა: სიმრთელესა და ღონესა.

უგუნური და მკაცრი კანონი თვისს მფარველად თავის დღეში არ უნდა გაიხადოს კაცმა,—თორემ ეს იმას ემგვანება—საუკუნოდ ხელი აიღოთ სურვილზე—უბრალო მომაკვდავზე მეტი ღირსება და ფასი მქონდესო,—ისეთს მომაკვდავზე, რომელიც მხოლოდ სვამს, სჭამს და სძინავს.

მუსლიმინთა არ იყოს, ბედი და ყისმათი მისატანი არ არის; ამ გზას რო გაჰყვეს კაცი, ყველაფერს უნდა გამოესალმოს.

ბედნიერება—ღონიერის ხვედრია, ხოლო გამარჯვებულიც ის არის, ვინც გონიერად ჰმოქმედობს; ვერ დამისახელებთ ვერც ერთს საბუთსა, რომლითაც შეიძლებოდეს ბნედიანებს, გიჟთა და ჭლექიანთ ნება ჰქონდესთ—ბნედა, სიჭლექე და სიგიჟე, ქორწინების საშუალებით, შთამომავლობას გადასცენ...

სიყვარული—უუწმიდესი სიხარულია საქაოსი... განა-და შეიძლება სიყვარულით ფიალა გაავსოთ და შიგ შხამ-სამსალა გაურიოთ?

სიყვარული—ადამიანისათვის საუკეთესო საჩუქარია, ღვთის-მიერ ბოძებული; მაგრამ განა თქვენ გინდათ ეს სიყვარული გახდეს მიზეზი წყევლა-კრულვისა?

სიყვარული—კელაპტარია, მანათებელი ცხოვრების გზისა; მაშ რადა გნებავსთ, სამგლოვიარო კელაპტრად გარდააქციოთ,—იმ კელაპტრად, კუბოსთან რომ ანთია ხოლმე?

რა გაიძულებსთ, ცოცხლად დამპალთა და შხამით გაჟღენთილთა, შვილები გააჩინოთ, და უმანკოსა და ქორფა ტუჩებზე პირველი ღიმი გამოენასკვნებათ თუ არა, კუბოში ჩააწვინოთ?

თქვენის ბავშვების უდროვოდ დაბერებულსა, დამჭკნარს სახეზედ, ნუ თუ წყევლას არა ჰკითხულობთ მშობლებისა მიმართ, რომელთაც სიცოცხლე მიანიჭეთ?

უდროვოდ წართმეულ სიმრთელეს ვერაფერი დაგიბრუნებსთ—ვერცა სიმდიდრე, ვერცა აღზრდა, ვერცა მეცნიერება, ვერც-და სარწმუნოება...

ავადმყოფი აბრეშუმის სამოსლით შემოსეთ, ძვირფასი თვალ-მარგალიტი ზედ აასხით, ოქროს ეტლში ჩასვით, ლხინში წაიყვანეთ და უთხარით—გამხიარულდი თქო!

დასნეულებულისა, სუსტისა და დამპალ აგებულების კაცის სიცოცხლე, რომელიც გამუდმებულ ყურისგდებას და წამლობას თხოულობს,—სალაბია,—რაც უნდა თაფლი ასხათ ამ სალაბს, ვერ გაატკბილებთ; უნუგეშო უბედურებაა, საუკუნო კატორღაა, რომლისაგან ერთად-ერთი სიკვდილი თუ იხსნის ადამიანს.

ემმა, ჩემო ძვირფასო ემმა, შენ ყოველთვის გიყვარდი, ყოველთვის პატივისმცემელი იყავ მამიშენისა! ყური დამიგდე! ამდენის შვილების დამკარგავი შენ არა-ერთხელ გხედავდი სამარის პირად მდგარს,—ვსწყევლიდი ჩემს თავს, ჩემს ცოდვას და ჩემს უვიცობას; დავუწყე წყევლა ექიმების უცოდინარობას;—ამათ ხელი არ შემიშალეს, რომ იმ შხამით, რომლისაგანაც მე უნდა მოვკვდე, მთელი ჩემი ოჯახიც არ მოშხამულიყო.

რა-კი სნეული დავიბადე, მოვალე ვიყავ, მარტო მე მეტვირთნა ეგ სნეულება და ის რამდენიმე წელიწადი სიცოცხლის, ბუნებამ, რომ მიწყა-

შინულს დღეს, მარტის 3-ს, ეს ჩვენი ამხანაგები გამოსულან ს. ნატბეურიდგან, სადაც მათ ლაშთიანად გადაუკრავთ და კარგაც შექეიფიანებულან. ს. ნატბეურსა და ნიჩბისს შუა, ერთს ხევში გადავარდნიათ ჯორი, რომელიც დატვირთული იყო გასაყიდი ქვაბებით. ხიჩატუროვს ჩამოუხდია ჯორისთვის საპალნე და თავის ზურგით გადაუტანია. როდესაც მეორე ამხანაგს ამაზედ ყურიც არ გაუბერტყნია და არ უშველია ამხანაგისთვის ტვირთის გადატანა, მაშინ ზემოხსენებულ ამხანაგებს მოსვლიათ ლაპარაკი, რომელიც ჩქარა გადაქცეულა ჩხუბად; ამ ჩხუბში ხიჩატუროვს უძვრია ხანჯალი და დაუჭრია სასიკვდილოთ თავისი ამხანაგი მამასახლისოვი, რისგანაც იგი გარდაიცვალა. დამნაშავე დაჭერილია და გამოძიება სწარმოებს.

ა, გ—ი.

** **დ. აბაშა.** მკვლელობა გამწარებისაგან. აბაშის მახლობელ სოფელში, ნაესაკოვში, გადასახად ფულის მოკრების დროს მოთმინებიდან გამოსულმა გუგუშვილმა თავში ჯოხის დარტყმით წუთი სოფელს გამოასალმა იმავე სოფლის მცხოვრები კაცი გვარად კუცია. აი საქმე როგორ იყო: თებერვლის დამლევს ჩვეულებრივად ფულის ბოჭვა დაიწყეს სოფელში, იმ ფულის ბოჭვა, რომელიც წყალდიდობისაგან დაზარალებულ ხალხს გადასახადი ადროვეს, ახლა თითო ოჯახს 15—20 მანათი ხვდა გადასახადათ ამისანა ცუდს დროში! მკვლელის ოჯახში მამა-კაცი არ დახვედრიათ და ვაჟს უთქვამს: ფული არა გვაქვს და ცოტა ხნით გვადროვეთო. იმათ არ დაუჯერებიათ და ოჯახის ხარი გამოუყვანიათ. ამ დროს მამა კაციც მოსულა და უთქვამს: ხარს ვერ გაგატანთ, ცოლის ნამზითვი არისო, და სხვა რაც გინდათ, წაიყვანეთო. ხარის ბაწარი გაუჭრია; იმ დროზე თვითონ ოჯახის კაცი დაუჭერია ფულის მკრებს და ჩხუბი რომ ამტყდარა, შვილმა ველარ მოითმინა და ზემოხსენებული ამბავი ჩაიდინა. თვითონ მკვლელი იმ წამსვე ოჯახიდან გადაიკარგა და ჯერაც არ იციან, სად არის. ოთხ მარტს ჩამოვიდნენ სენაკის მაზრის ექიმი და გამომძიებელი საქმის გამოსაკვლევათ და ვინ იცის, საქმე როგორ წავა.

აქეთ მშვენიერი დარებია. შავი ჭირის შესახებ ადგილობრივის ადმინისტრაციის წყალობით სასტიკი ღონისძიება არის მიღებული.

** **შეწირულება.** უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნათ ბ. ე. მამინაიშვილს, რომელმაც ოზურგეთში შეკრიბა შემოქმედის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ ფული და წიგნები და მით შემწეობა აღმოუჩინა ჩვენს ღარიბს სამკითხველოს. აი სია შემომწირველთა:

თითო მანათი: ბ. ბებურიშვილმა, მღვდ. სოლომონ დუმბაძემ, ს. ღლონტმა, ნ. თაყაიშვილმა, ბ. კალანდაძემ, გ. პეღურაშვილმა, დ. სალუქვაძემ, ე დონაძემ, ა. მეხუზლამ, თ. სალუქვაძემ, ნ. თაყაიშვილმა, მ. ს. შარაშაძემ, ი. ქუთათელაძემ, გ. თოხაძემ, მელიტონ ქამკარაძემ, ვ. ხუხუასამ. ათ-ათი შაური: გ. ქიქოძემ, გიორ. მარგალიტაძემ, ს. დგებუაძემ, ესე დუმბაძემ და ი. გვაზანტირაძემ; დ. შავიშვილმა ორი აბაზი; გ. ფილხელაიშვილმა და ნ. ჭელიძემ ექვს-ექვსი შაური; ტ. ჭიჭინაძემ წიგნება 5 მანათისა, ილ. მგელაძემ წიგნები 3 მან., თავ. ნ. ციციშვილმა წიგნები ექვსი აბაზისა, ივ. კვიტაძემ წიგნებით 50 კაპ.

ზემოხსენებულ პირთ უღრმესს მადლობას გწირავთ და გისურვებთ სხვებსაც მიებაძოს მათთვის*).

წიგნთ-საცავის მწარმოებელი ფ. მგელაძე.

*) რედაქციას ხშირად მოსდის ასეთი სიები და ყველას ბეჭდვა უხერხულად მიაჩნია. შემდეგში სხვებსა ვსთხოვთ საერთო ჯამი მოიხსენიონ შეწირულობისა, ხოლო მსურველმა მიჰმართოს იმ პირთ, რომელთაც ფული აქვთ გადაცემული და პირადად დარწმუნდნენ სიისა და ანგარიშის სისწორეში.

იმერელი მიჯნურდა. ერთხელ პოლიციის ბოქაულს ე. გ—შვილს მოწერილობა მოუვიდა პოლკის კომანდირისაგან მასზე, რომ სამოცი ურემი გამოეყვანა სოფლიდან და გაეგზავნა მისთვის ჯარის კაცის ბარგი-ბარხანის გადასაზიდავად. ბოქაულმა ბრძანება მისწერა მამასახლისს და ეს ბრძანება გაუგზავნა თავისი ახლად გადმოსულის იმერელ ჩაფრის ხელით. მეორე დღეს ჩაფარი გამოცხადდა და მოახსენა ბოქაულს, რომ თქვენი მონდობილება ყველაფერი შევასრულეო, ურმები გამოვაყვანინე მამასახლისს და ჩავაბარე პოლკის უფროს, მხოლოდ თვითონ პატრონები არ წამოვიდნენ, სულ მოჯამაგირეები გამოჰგზავნესო. ბოქაულმა ჰკითხა: „შენ რა იცი, პატრონები იყვნენ, თუ მოჯამაგირეებიო“. მე იმით ვიციო,—მიუგო იმერელმა, რომ როცა გამოვიყვანეთ ურმები და გზაზე მივდიოდით, მეურმეები სულ უშვერის სიტყვებით ლანძღავდნენ ხარ-კამბეჩების პატრონებსაო და, თუ ისინი მოჯამაგირეები არ იყვნენ, პატრონი თავის თავს რავა შეაგინებდაო.

თეატრის მატიანე.

ქ. ტომსკი. 18 თებერვალს მალოროსების დასმა, რომელიც გვეწვია 19 იანვარს, გამართა ბენეფისი გამოჩენილ არტისტ ქალის ქ. ზაიარსკაიასი. ეს არტისტი ქალი კარგი ნაცნობია თბილისის საზოგადოებისა, რადგანაც ამ ორის წლის წინად ცოტა ხნობით თამაშობდა თბილისში. წარმოდგენილ იყო: „ისე არ მოხერხდა, როგორც მოსალოდნელი იყო“ („не такъ склалося, якъ ждалося“), დრამა 5 მოქმ. სტარიცკისა. წარმოდგენამ ძალიან კარგად ჩაიარა, ხალხი დიდძალი დაესწრო და ბევრნი ადგილის უქონლობისა გამო უკან დაბრუნდნენ. მობენეფისეს მიართვეს ბევრი საჩუქრები; სხვათა შორის სტუდენტებმა, მალოროსებმა და ქართველებმა მიართვეს ადრესი, სადაც საქებრად აწერილი იყო მისი სასცენო ნიჭი, რომელიც მართლაც-და სამაგალითოა და რომელსაც არა ერთხელ დაუტკბია ტფილისის საზოგადოება.

ზაიარსკისამ საუცხოვოდ შეასრულა თავისი ძნელი როლი და განსაკუთრებით უკანასკნელი მოქმედება, სადაც სანაქებო არტისტ ქალმა ფართოდ გაშალა თავისი ძლიერი ნიჭი; საზოგადოება იყო რაღაც ბურანში, მთელი თეატრი მოცული იყო სიჩუმით და გატაცებული ხელოვნურის წარმოდგენით. მისმა სიკვდილმა საყვარლის ხელში და ხელოვნურად მოწამლვამ, ისეთი ზედ-გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, რომ ბევრს მანდილოსნებს გული შეუწუხდა მისი უბედურების ყურებით. საზოგადოებამაც სამაგიეროდ დიდი პატივი სცა და მრავალჯერ დააჯილდოვა ვაშას ძახილით და განუწყვეტელის ტაშის-ცემით.

ნიკო.

სასამართლოს მატიანე.

ოთხის წლის კატორღა. 10 მარტს ტფილისის ოლქის სასამართლოს სასისხლის სამართლის განყოფილებაში დაფარულად ირჩეოდა საქმე სოფელ ბაშის, ქუთაისის მაზრის, მცხოვრებელ, 18 წლის გლეხის რაჟდენ კაშიასი, რომელსაც ბრალდებოდა დანაშაული კანონის 996 მუხლითა. კაშია დამნაშავედ იცნო სასამართლომ, ყოველივე ღირსება ახადა და ოთხის წლით კატორღაში ყოფნა გადაუწყვიტა.

სამეურნეო ცნობა.

ხახვის მოყვანა.

ყველაზე კარგი ნიადაგი ხახვისთვის ღონიერი შავი მიწაა, ცოტა-ოდენ ვიშასთან შეერთებული. მიწა უფრო ნოტიო უნდა იყვეს, ვიდრე მშრალი. მიწა, დაბარვის შემდეგ, რკინის კბილებიან ფოცხით უნდა ქვებისაგან გაიწმინდოს და კვალებათ დაიყოს, კვალები სიგანით ორი წყდა უნდა იყვეს. კვლებსა და კვლებს შუა გასავალ გზას არჩენენ. შემდეგ კვლებს, სინამ მიწა ისევ ნოტიოა, ფეხით მაგრა სტკეპნიან. ამ დატკეპნილ კვლებში ნახევარ გოჯის სისქეზე ფხვიერ მიწასა ჰყრიან და ფოცხით ასწორებენ. როცა ამ ნაირად კვალი მზათ იქნება, თოკით შვიდ ან რვა წყებათ ჰყოფენ და მერე ამ წყებებზე ფოცხის ტარით ერთი გოჯის სიმაღლე კვლები გაჰყავთ. შემდეგ თხელი სასუქით რწყავენ და თესლსა სთესენ. თესლს გადმობრუნებული ფოცხით მიწაში მალვენ და მერე ზედ მანჯანაკს ატარებენ, ან საზეპელით სტკეპნიან. შემდეგ აყრიან ძველს დაფშვნილს სასუქს. ეს ყველა საჭიროა მიწის ნოტიოთ შესანახავად, რადგანაც ხახვი ყველაზე მეტს ნამს თხოულობს. თუ დათესის შემდეგ, რამდენსამე დღის განმავლობაში, წვიმა არ მოვიდა, უეჭველად უნდა მოირწყოს ან დილით ადრე, ან საღამოს მზის ჩასვლის შემდეგ. გვალვის დროს, კარგია, დღეში ორჯერ, ე. ი. დილას და საღამოს მოირწყოს. წყალს ყოველთვის ზემო მიწის პირი იშრობს ხოლმე, ამიტომ საჭიროა ერთბაშათ წყალი ბლომათ დაესხას. თუ გვინდა,—მორწყვამ სარგებლობა მოგვიტანოს, საჭიროა, ისე მოირწყოს, რომ წყალმა სამ გოჯზე ჩაატანოს მიწას. ერთი კვლის მორწყვის შემდეგ, მეორე უნდა მოირწყოს, შემდეგ მესამე და ბოლოს დაუბრუნდეს პირველს და ხელ-ახლად დაიწყოს კვლების მორწყვა. საზოგადოთ, თუ ზაფხულში ცოტა წვიმა მოდის, ხახვი ხშირად უნდა მოირწყოს. აგრეთვე უნდა გაიმარგლოს და შეთხელდეს, როცა ხახვი ორი გოჯის სიმაღლე გაიზდება, თითო მცენარე კვალში ერთი გოჯის სიშორეზე უნდა იდგეს მეორედგან.

ლობა, მეგობრების და მამულის სამსახურისათვის შემეწირნა.

მაგრამ ამასაც მოვესწარ, რომ გაჩენის დღეს ვსწყევლი; ჩემი მწუხარება გაასკეცდა ჩემის შვილების ტანჯვა-წვალების ცქერით, ხოლო სახლი ჩემი სასაფლაოდ გარდაიქცა.

მეც ვსტიროდი, მთელი ღამეები ჩემს თვალთა ძილი არ ეკარებოდა; არცა ვკვდებოდი და სულ ჩემს თავს ვსწყევლიდი—, რა ცოდვის-კითხვა დავატრიალე მეთქი!

ჩემის უვიცობით ახლანდელს დროში სხვები მაინც თავს ვერ იმართლებენ; თანამედროვე მეცნიერება გარკვევით და დამტკიცებით ამბობს: „ვისაც ოჯახის დაარსება ჰსურს, უეჭველად ჯან-საღი უნდა იყოსო“, იმავე მეცნიერებამ საყოველთაოდ აღიარა,—ბნედიანთა და ჭლექით დაავადებულთა ბნედიანი და ჭლექიანი შვილები ეყოლებათო, და ბუნება ულმობელია, ოდეს სენი მემკვიდრეობით გადადისო.

ვსთქვათ, როგორმე, შემთხვევით, ან მეტის-მეტის მეცადინეობის მეოხებითა, დასნეულებულს მშობლებს ჯან-საღი ბავშვები გამოუვიდათ,—მაგრამ ამათში ერთს მაინც იმსხვერპლებს დედ-მამის სენი; და შვილის დაავადებულს სახეზედ ჭლექიანი დედა და სნეული მამა წყევლას აღმოიკითხვენ თავიანთის ცოდვისათვის.

ემმა, ჩემო კარგო ემმა! მთელი შენი დღენი ავადმყოფობაში გაგიტარებია, შენ ჩემი უკანასკნელი შვილი ხარ, ქვეყანა შევაჯერე შენის ჯანსაღობისა და სიცოცხლისათვის და, მგონია, იცოცხლებ კიდეც, ღმერთი მოწყალეა, და, იქმნება, არ გამომიყვანოს ყველა ჩემის შვილების მკვლელად.

მაგრამ შენი სხეული ფშვნადი და სუსტია, წვრილ ლერწამსა ჰგავს, მარტოდ-მარტო უდაბნოში მდგარს, რომელიც უეჭველად გადატყდება, თუ ვინმე ოდნავ მოსწია. ჩემო კარგო, თავის დღეში ნუ გათხოვდები, პირველ შვილის დაბადებაზედვე საფლავს ჩახვალ, ან არა და, შვილები გეყოლება, მაგრამ ჯერ ისევ ქორფები, უდროვოდ დაგეხოცებიან. ჭლექის შხამი ისე მძლავრად გაგვიჯდა სისხლში, რომ საშვილიშვილოდ გვექმნება.

ვკვდები; ჩვენს გვარში შენ-ღა გადარჩი ცოცხალი; შენ მოკვდები და ამ შხამსაც ბოლო მოეღება და ცოდვაც გათავდება. შემომფიცე, ემმა, რომ მარტო-ხელი იცხოვრებ და მარტო-ხელივე ჩახვალ საფლავს. ღმერთმა ინებოს, შენის მამის მხსნელ-ანგელოზი გახდე და მისი ცოდვა შეინანიო.

ეს ფიცი, ეს მწარე ფიცი—მამის შენის ანდერძი და მემკვიდრეობაა; როგორც მამამ, უკანასკნელი სიტყვა უნდა გითხრა, ჩემს საყვარელს ბავშვს; მწარე მოსასმენი-კია ეგ სიტყვა: ითმინე, იტანჯე და სიკვდილის უკანასკნელ წამამდე ასე იცხოვრე!

ჩემის ცოდვისათვის საშინელი სასჯელი გადამხდა! ჯერ იყო და ყველა ჩემს შვილებს ჩემის ხელით დავუხუჭე თვალები და ჩავასვენე საფლავში; ახლა, სულ უკანასკნელს, ცოცხლად დარჩენილს, უნდა ვუთხრა: ითმინე, ითმინე მამი-შენის დანაშაულისათვის!

ნუ დასწყევლი მამა-შენსა!.. ახალგაზდა რომ ვიყავი და დედა-შენს სიყვარული გამოვუცხადე, მაშინ ექიმები უბრალო ხელოსნები იყვნენ,—მხოლოდ ნესტარისა და საწამლავების ხმარება იცოდნენ; როდი ესმოდათ, რომ ჯანისა და ღონის მფარველნი უნდა ყოფილიყვნენ; არ იცოდნენ, რომ ავადმყოფისა, ჭლექიანისა და ბნედიანისათვის, მოვალენი იყვნენ, ეთქვათ:

— არ გაბედო და ცოლი არამც და არამც არ შეირთო; გირჩევნია, შენს საუკეთესო მეგობარს გული ლახვრით გაუგმირო, ვიდრე ამას ჩაიდინე!

მამა მემკვიდრეობად საშინელ მოვალეობას გიტოვებს და შენ უნდა აღასრულო ეს ანდერძი: იცოცხლე, —მაგრამ შენმა გულმა სიყვარული, რა არის, არ უნდა იცოდეს; იყავ ქალი,—მაგრამ დედა კი არა. მე გულდამშვიდებული ვკვდები,—ვიცი, ჩემი ქალი ფიცს არ გასტეხს და იმ სიკეთეს მოიმოქმედებს, რაცა მამამისმა ველარ შესძლო.

ცუდი არავის უნდა ვუყოთ, თუნდაც გულის-თქმა საშინლად გვაქეზებდეს, თუნდაც კანონმა არაფერი გვითხრას, თუნდაც საზოგადოებამ ამ ავკაცობისათვის არ გაგვკიცხოს—აი დიდი საქმე, საქმე საგმირო, რომლის მსგავსს გმირობას ბრძოლის ველზედაც არ იჩენენ ხოლმე მეომარნი.

და ვიდრე ყველანი არ იგრძნობენ—ამ მოვალეობის აღსრულებლად ღონე შეგვწევსო, მანამდე კაცობრიობა თავისდღეში ვერ მიაღწევს თავისს იდეალურს სისრულესა.

შენს გზასა, ჩემო ემმა, უფსკრულისაკენ ნიჰყევხარ; მაგრამ ამ გზაზედაც, მამა-შენმა რომ დაგაყენა, შეგიძლია მშვენიერს ყვავილებს წააწყდე. შენ ასრულებ უდიდესს მინდობილობასა, შენ უნდა ამაღლდე მიუწდომელ სიმაღლემდე, შენ უნდა იყვე ვესტალი, მსახური ღვთიურის ცეცხლისა.

ვინც, მოვალე ვარო, და თავსა სწირავს—წმინდა ატმოსფერაში სცხოვრებს, სადაც, იქნება, მზე არ ჰკაშკაშებდეს, გარნა სადაც ცაჲ სულმუდამ მოკაშკაშებულია.

ვინც მოვალეობას ასრულებს, იმას თავს ყოველთვის წმინდა ცაჲ დაჰყურებს, მშვიდობაში სცხოვრობს; შეიძლება, ეგ მშვიდობა თანაც დამაღონებელი იყოს, სამაგიეროდ—ყოველსავე სიხარულს უდიდესის ღირსების ნათლითა ჰმოსავს მშვიდობა იგი.

სულმოკლენი და სუსტის ხასიათისანი თავ-ჩაქინდრულები გაუვლიან ხოლმე მოვალეობის ქანდაკებასა; გარნა ამ დროს, ამ ქანდაკების წინაშე გავლის დროს, ყველანი ჰგრძნობენ ზედგავლენასა უდიდესსა, სასიკეთოსა,—ზედგავლენასა, იმისსა მსგავსსა, დიდის ტაძრის სიჩუმეში რომ ჰგრძნობს ხოლმე ადამიანი.

ჭეშმარიტად, წმინდანია იგი, ვინც თავისს მოვალეობასა თავსა თვისსა მსხვერპლადა სწირავს, და ყველაზე ვისაც მასთან რაიმე კავშირი აქვს, მაცოცხლებელად ჰმოქმედობსს.

მე დარწმუნებული ვარ, ჩემო ემმა, რომ შენა სცდილობ ასეთი წმიდანი იყვე, და ამიტომაც გულ-დამშვიდებული ვეგებები სიკვდილსა.

თ. სა—ია.

ხახვი, როცა ფოჩები გადაეტვრევა და გარედგან შეახმება, უნდა ამოილოს. ამოღებული ხახვი სახლის სახურავის ქვეშ ან სარდაფში ეწყობა გასახმობად. წითელი ხახვი ამოღების შემდეგ ისეთ ალაგს უნდა დაიწყოს, რომ კარგად გამოშრეს. კარგ დარში ხახვი ეზოშიც შეიძლება გაიფინოს. წვიმიან დარში-კი ხახვი სარდაფში უნდა დაიწყოს. ხახვს ძირის ფესვებს არა სჭრიან, ზამთრობით გრილს ალაგას არ უნდა დაიწყოს.

თუ ნიადაგი და ამინდი ხელს უწყობენ ხახვის მოსვლას, ბევრი უნდა მოიყვანონ, რადგანაც ხახვს კარგი სარგებლობა მოაქვს, მით უმეტესად, რომ ხახვი შორსაც შეიძლება ადვილათ გაიგზავნოს. კარგი გვარის ხახვს მაგარი თავები და მოკლე კისერი აქვს. როცა ხახვს გრძელი კისერი აქვს, დიდხანს არ გასძლებს, მალე ლპება და ამიტომ ადრე უნდა დაიხარჯოს.

გაბო.

საღამოს დეპეშა

11 მარტი.

ვენა. „Neue Freie Pesse“ უარჰყოფს იმ ამბავს, ვითომ საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა და ავსტრი-უნგრეთის რწმუნებულმა ათინაში გადასწყვიტეს დავიცადოთ, ვიდრე არ გათავდება გამოძიება იმ საქმის გამო, ავსტრი-უნგრეთის სამხედრო გემმა რომ საბერძნეთის გემს ზარბაზნები დაუშინაო. ეს რამდენიმე დღეა, ავსტრი-უნგრეთის რწმუნებულს ალარავითარი მოლაპარაკება არა აქვს საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრთან.

ლონდონი. „Daily News“ დეპეშით სწერენ ქაირიდგან: „შესაძლებელია, სუდონში ექსპედიცია, გაიგზავნოს, რადგანაც ხალიფი მშვიდობიანობის დამყარებას თხოულობს.

კანეიდგან მოსულ ცნობებიდგან სჩანს, რომ მეამბოხე ქრისტიანებს, რომლებიც კარგა დიდ მანძილზედ თავის ნებით გასულ ოსმალთა ჯარს თოფებს ესროდნენ, სუდის ნავთ-სადგურში მდგარმა ოსმალეთის სამხედრო გემებმა ზარბაზნები დაუშინეს.

კონსტანტინეპოლი. ელჩებმა საერთოდ მოსთხოვეს პორტას, რომ ადანის ვალი და ამავე ვილაიეტის პოიასოლქის კაიმაკონი გადააყენეთ სამსახურიდგან, რადგანაც მათი მოქმედება მაჰმადიანებს აღელვებს, რის გამო ძალმომრეობამაც თავი იჩინა. პორტას ყურადღება მიაქციეს აგრეთვე იმ ამბავს, რომელიც ამას წინად მოხდა გიმერეკსა და სივასის ვილაიეტებში.

ვაჭრების საყურადღებოდ.

სურამის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 12 მაისს, 1897 წელს, გაიყიდება საჯაროდ უძრავი ქონება გარდაცვალებულის გლეხის ზაქარია ფარცხალის ძის მამინაშვილისა. ვაჭრობა დაიწყება 2,000 მანათიდამ.

В Батумѣ продается

НОВОЕ ПІАНИНО

Заграничной фабрики. Можно видеть у П. А. Добрилла. Б. Морская, д. Туманова, противъ Персидскаго консульства, ежедневно отъ 12—3 час.

ბათომში იყიდება

ახალი პიანინო

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ დობრილასთან, თუმანოვის სახლში სპარსეთის საელჩოს პირდაპირ დიდი ზღვის ქუჩაზე, ყოველ დღე 12—3 საათამდე. (4—1)

Открыта подписка на 1897 годъ.

ВСЕМІРНАЯ ИЛЛЮСТРАЦІЯ

БОЛЬШОЙ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛЪ

1897 г. занимаетъ первое мѣсто среди всѣхъ иллюстрированныхъ изданій Россіи и одно изъ первыхъ мѣстъ среди иллюстрированныхъ журналовъ всей Европы. **29 годъ изданія.**

Ни одинъ журналъ въ Россіи не можетъ сравниться со „**Всемірной Иллюстраціей**“ ни по изяществу, ни по полнотѣ, ни по объему.

Въ будущемъ, 1897, году „Всемірная Иллюстрація“ останется вѣрна своему высокому призванію—быть строго художественнымъ изданіемъ и живымъ вѣрнымъ отраженіемъ жизни всего міра—и будетъ издаватся по прежней программѣ, на прежнихъ основаніяхъ, въ томъ же направленіи и при прежнемъ стремленіи къ постоянному улучшенію во всѣхъ отношеніяхъ, при участіи лучшихъ литературныхъ и художественныхъ силъ.

„**ВСЕМІРНАЯ ИЛЛЮСТРАЦІЯ**“ обратитъ особенное вниманіе на иллюстрированныя описанія болѣе или менѣе выдающихся мѣстъ нашего отечества и постарается по возможности расширить этотъ отдѣлъ. Отъ времени до времени она будетъ давать страницы, посвященныя „Живописному Петербургу“, изъ которыхъ впослѣдствіи составится цѣлый альбомъ. Точно также она будетъ отводить больше мѣста воспроизведенію художественныхъ сокровищъ обѣихъ столицъ. Литературный отдѣлъ ея будетъ заключать въ себѣ, кромѣ пояснительнаго текста къ рисункамъ, картинамъ и портретамъ, романы. повѣсти, разсказы, очерки, драматическія произведенія, стихотворенія наиболѣе выдающихся писателей русскихъ и иностранныхъ, статьи по этнографіи, исторіи, естествовѣдѣнію, археологіи, сельскому хозяйству, искуствамъ и проч., рядъ фельетоновъ, посвященныхъ обозрѣніямъ общественной жизни, науки и литературы какъ въ отечествѣ, такъ и за границей. Беллетристическія произведенія, даваемыя въ прибавленіяхъ къ нумерамъ журнала, попрежнему будутъ помѣщаться большей частью съ иллюстраціями. Какъ и прежде, отдѣлу „Спорта“, богатому и разнообразному, будутъ отводиться отдѣльныя страницы въ журналѣ.

Превзошедшій всякія ожиданія успѣхъ экстренныхъ приложеній ко „Всемірной Иллюстраціи“ прошлыхъ лѣтъ — Сочиненій Кольцова“, „Книги пѣсенъ Гейне“ и „Пѣсенъ Беранже“ — побуждаютъ ее предложить подписчикамъ на будущій, 1897, г. ДВА ИЗЯЩНЫХЪ ПОДАРКА, какъ бы въ pendant къ прежнимъ художественно-литературнымъ изданіямъ. Чтобы угодить разомъ любителямъ и серьезнаго, и веселаго чтенія, „Всемірная Иллюстрація“ дастъ двѣ отдѣльныя книги двухъ корифеевъ западной литературы:

„НАТАНЪ-МУДРЕЦЪ“, драматическую поэму Готтгольда Эфраима Лессинга въ новомъ переводѣ В. С. Лихачова, извѣстнаго переводчика произведеній Мольера и Корнеля, переводы котораго были неоднократно премированы.

„ДЕКАМЕРОНЪ-БОККАЧІО“, избранныя новеллы въ переводѣ русскихъ писателей.

Обѣ книги съ великолѣпными иллюстраціями знаменитыхъ европейскихъ художниковъ.

„Натанъ-Мудрецъ“ представляетъ собою источникъ эстетическаго наслажденія, источникъ мудрости, изъ котораго могутъ черпать и люди преклоннаго возраста, и юноши, начинающіе жить осмысленной жизнью.

Избранныя новеллы изъ „Декамерона“ Боккачіо блещутъ свѣжимъ совершенно своеобразнымъ юморомъ, бризжутъ веселостью, способной расшевелить самаго серьезнаго человѣка. Кромѣ того будутъ даны

Отдѣльныя художественныя приложенія разнообразнаго содержанія.

Такимъ образомъ „Всемірная Иллюстрація“ за 1897 г. будетъ драгоцѣннымъ и вполнѣ современнымъ изданіемъ для каждой русской семьи, интересъ котораго будетъ прогрессивно увеличиваться

15 р. без дост. — Подписная цѣна журнала „Всемірная Иллюстрація“ на 1897 г.: СО ВСѢМИ ПРИЛОЖЕНІЯМИ И ПРЕМІЕЙ — **18 р.** съ перес.

→ СЪ ДОСТАВКОЙ ВЪ С.-ПЕТЕРБУРГѢ 17 РУБ. ←

При подпискѣ безъ доставки въ МОСКВѢ, въ отдѣленіяхъ конторы: 1) въ книжномъ магазинѣ А. Ланга, Кузнецкій Мостъ, 15, 2) въ конторѣ Н. П. Печковской, Петровскія линіи, и 3) въ книжномъ магазинѣ М. В. Клюкина, Моховая, д. Бенкендорфъ.

Мъ ОДЕССѢ, въ отдѣленіи конторы при редакціи журнала „Вѣстникъ Винодѣлія“ В. Е. Таирова, Канатная, 13.

Цѣна роскошнаго изданія (на веленевой бумагѣ) безъ дост. 20 р., съ дост. и перес. 25 р.; въ Москвѣ безъ дост. 22 р.; за границу 30 р.

Допускается разсрочка при подпискѣ 7 руб., за тѣмъ къ 1 мая 6 руб., и къ 1 сентября остальные 5 руб.

Подписка принимается въ конторѣ редакціи „Всемірной Иллюстраціи“: С.-Петербургъ, Садовая, 22

Каталогъ всѣхъ изданій фирмы „Книгоиздательство Германъ Гоппе“ высылается по требованію **безплатно.** (10—2).

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ НА

МОДНЫЙ СВѢТЪ

30-ый годъ изд. **и Модный Магазинъ**, модный и семейный иллюстрированный журналъ, **XXX** годъ изд

дающій въ своихъ модныхъ нумерахъ полный переводъ парижскаго моднаго журнала „LA SAISON“.

„Модный Свѣтъ“ сдѣлался любимымъ журналомъ русской семьи, настольнымъ справочнымъ изданіемъ русской хозяйки. „Модный Свѣтъ“ щеголяетъ полнотой всѣхъ своихъ отдѣловъ: моды, рукодѣлій, домоводства и проч. и большимъ разнообразіемъ.

Нижеслѣдующій перечень даетъ приблизительное понятіе о богатствѣ содержанія этого столь любимаго и самаго распространеннаго въ Россіи дамскаго журнала.

„Модный Свѣтъ и Модный Магазинъ“ будетъ заключать въ себѣ въ 1897 году:

24 модныхъ нумера туалетовъ и дамскихъ рукодѣлій, содержащихъ до 3.000 рисунковъ и описаній, обьемлющихъ всю область гардероба: для дамъ, дѣвочекъ и мальчиковъ, равно и приданаго для новорожденныхъ, мужскаго, столоваго и постельнаго бѣлья. Всевозможныя рукодѣлія, изображенныя и описанныя удобопонятно и подробно.

24 Литературныхъ нумера, содержащихъ повѣсти, разсказы и стихотворенія лучшихъ русскихъ и иностранныхъ авторовъ картины и рисунки русскихъ и иностранныхъ художниковъ, статьи по женскому дѣлу, анекдоты, афоризмы, хозяйственные, гигіеническіе и педагогическіе совѣты и указанія, предостереженія противъ опасностей, встречающихся въ обыденной жизни, различныя извѣстія, интересныя для женщинъ, и „Почтовый ящикъ“ съ разнообраанными указаніями и совѣтами.

24 Экстренныхъ модныхъ приложенія съ рисунками новѣйшихъ парижскихъ модъ (hautes nouveatés). Эти 24 приложенія въ общей сложности составятъ 12 полныхъ нумеровъ.

12 Большихъ выкроечныхъ листовъ, содержащихъ около 1000 выкроекъ всевозможныхъ предметовъ гардероба, узоры для бѣлаго и цвѣтнаго шитья, суташа и т. д., также множество шифровъ, монограммъ и цѣлые алфавиты крестиками и гладью.

ПОДПИСЧИКИ

на 2-е изданіе получатъ кромѣ заннаго еще	на 3-е изданіе всего вышесказаннаго сверхъ того
12 большихъ отлично раскрашенныхъ картинокъ новѣйшихъ парижскихъ модъ.	**36** большихъ отлично раскрашенныхъ картинокъ новѣйшихъ парижскихъ модъ и
12 вырѣзныхъ выкроекъ для дамскихъ и дѣтскихъ костюмовъ и бѣлья.	**12** вырѣзныхъ выкроекъ

Безплатныя преміи для годовыхъ подписчиковъ всѣхъ трехъ изданій:

1) Альбомъ новыхъ оригинальныхъ русскихъ монограммъ.
2) 12 картинокъ съ рисунками дамскаго верхняго платья.
3) Два приложенія спеціально дѣтскихъ модъ: 1) весенняго и лѣтняго и 2) осенняго и зимняго сезоновъ.
4) Стѣнной календарь на 1897 годъ.

Подписчики на второе и третье изданія кромѣ вишеупомянутыхъ четырехъ премій получатъ еще книгу: 5) Живопись по фарфору, стеклу, атласу, шелку и разнымъ матеріаламъ со многими рисунками.

Подписчики на 1-ое изданіе, желающіе получить сверхъ слѣдуемыхъ имъ премій еще книгу „Живопись по фарфору“ и проч., доплачиваютъ къ подписной цѣнѣ одинъ рубль.

ГОДОВАЯ ЦѢНА «МОДНАГО СВѢТА» НА 1897 ГОДЪ:

I-го изданія.	II-го изданія.	III-го изданія.
Въ С. П. безъ дос. 4 р.	Въ С.-П. безъ дос. 6 р.	Въ С. П. безъ дос. 9 р.
Съ дос. 5 р., съ пер. 6 р.	Съ дос. 7 р., съ пер. 8 р.	Съ дос. 10 р. съ пер. 11 р.

При подпискѣ безъ доставки въ Москвѣ, въ отдѣленіяхъ конторы: 1) въ книжномъ магазинѣ г. А. Ланга, Кузнецкій Мостъ, 15, 2) въ конторѣ Н. Н. Печковской, Петровскія линіи, и 3) въ книжномъ магазинѣ М. В. Клюкина, Моховая, д. Бенкендорфъ, цѣна 1-му изд.—5 р., 2 му изд.—7 р., 3 му изд.—10 р.

Въ Одессѣ, въ отдѣленіи конторы, при редакціи „Вѣстникъ Винодѣлія“ В. Е. Таирова, Канатная ул., № 13.

Допускается разсрочка, но исключитнльно при подпискѣ въ конторѣ редакціи: при подпискѣ изъ провинціи на I изд.—4 р., на II изд.—5 р., на III изд.—6 р., а къ 1-му мая остальные, т. е. 2 р., 3 р. и 5 рублей.

Подписка принимается въ конторѣ редакціи „Моднаго Свѣта“: С.-Петербургъ, Садовая, № 22.

КАТАЛОГЪ ВСѢХЪ ИЗДАНІЙ фирмы „Книгоиздательство Германъ Гоппе“ высылается по трбованію **БЕЗПЛАТНО** (6—5).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Марта 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.